



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის

2016 წლის სამოქმედო გეგმა

(იანვარი - დეკემბერი)

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური/შესაბამისობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. ჩატარებული მინიმუმ 80 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელოს მიხედვით;
2. შემუშავებული შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია.

პროგრესი: 1. 2016 წელს დასრულდა 74 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი და მიმდინარეობს 9 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

2. მიმდინარეობს შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

2. ეფექტიანობის აუდიტით მიღწეული შედეგების გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. ჩატარებული 9 ეფექტიანობის აუდიტი შესაბამისი სახელმძღვანელოს მიხედვით;
2. ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოში შეტანილი მეთოდოლოგიური ცვლილებები.

პროგრესი: 1. 2016 წლის მდგომარეობით დამტკიცდა 12 ეფექტიანობის აუდიტი.

2. მომზადდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოში შესატანი მეთოდოლოგიური ცვლილებები.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

3. ინფორმაციული სისტემების აუდიტის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. ჩატარებული 2 საპილოტე ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი;
2. გადამზადებული მინიმუმ 5 თანამშრომელი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულებით;
3. შემუშავებული ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია.

პროგრესი: 1. დასრულდა 2 კომბინირებული აუდიტი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ჯგუფის ჩართულობით.

2. გადამზადდა 8 თანამშრომლი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულებით.

3. მიმდინარეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსიის მომზადება.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

4. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. ჩატარებული 1 საპილოტე პოსტ-შეფასება;

2. ამ მიმართულებით გადამზადებული მინიმუმ 5 თანამშრომელი.

პროგრესი: 1. განხორციელდა 3 უწყების მიერ განხორციელებული პროექტების შეფასება.

2. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის მიმართულებით გადამზადდა 9 თანამშრომელი.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

5. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. დანერგილი რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა;

2. დამტკიცებული რეკომენდაციების შემუშავების მეთოდოლოგია;

პროგრესი: 1. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა ინტეგრირებულია აუდიტის მართვის სისტემაში (AMS).

2. განახლდა რეკომენდაციების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცდა ივლისში.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

6. საჯარო ფინანსების მართვაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. მთავრობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში სას-ი სარეიტინგო სისტემისათვის (რომლის მიზანია მხარჯავი უწყებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შესაფასება) განახლებული კითხვარი;
2. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესში წამოჭრილი აქტუალური საკითხების შესახებ 1 პუბლიკაციის მომზადება;
3. მინიმუმ 20 სერტიფიცირებული საჯარო სექტორის აუდიტორი.

პროგრესი: 1. მხარჯავი უწყებების სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების სრული ციკლის შესაფასებლად განახლდა კითხვარები. პირველ ეტაპზე კითხვარები გაეგზავნათ სამინისტროებს. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 16 სამინისტროს აპარატისთვის გაგზავნილ იქნა ორგანიზაციული მართვის შეფასების კითხვარი, რომელიც უწყებებს ავასებს 7 ძირითადი კომპონენტის მიხედვით, რაც არსებითია მათი გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებაში 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ განხილულ იქნა სამინისტროთა საქმიანობა ადამიანური რესურსების მართვის, გარე კომუნიკაციისა და შიდა აუდიტის ასპექტებში.

2. მიმდინარეობს 2 პუბლიკაციის შემუშავება:

- სახელმწიფო ქონების მართვა - უკეთესი პრაქტიკა
- შრომის ანაზღაურება საჯარო სექტორში - უკეთესი პრაქტიკა

3. სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა, რომელიც წარმატებით გაიარა 81-მა აუდიტორმა.

ასევე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა:

- ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის შედეგადაც გადამზადდა 126 ადამიანი;
- ტრენინგი შიდა აუდიტში, რომლის შედეგადაც გადამზადდა 21 ადამიანი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესი და მისი სამართლებრივი რეგულირება, რომლის შედეგად გადამზადდა 21 ადამიანი;
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შევსებარომლის შედეგად გადამზადდა 21 ადამიანი;
- პროდუქტიულობის გაუმჯობესება საჯარო სექტორში, რომლის შედეგად გადამზადდა 15⁴

ადამიანი;

- ეფექტიანობის აუდიტის ტრენინგი, რომლის შედეგად გადამზადდა 17 ადამიანი;
- რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს გამოყენებით გადამზადდა 98 ადამიანი;
- ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშების პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის შედეგად გადამზადდა 27 ადამიანი.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

7. პარლამენტთან, მედიასთან, საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. საპარლამენტო/საკომიტეტო სხდომებზე განხილული სას-ის ანგარიშები;
2. პარლამენტისთვის გადაზღვნილი აუდიტის ანგარიშების 100%;
3. განახლებული კომუნიკაციის სტრატეგია და დამტკიცებული/განხორციელებული კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა 2016 წლისთვის;
4. „დაგეგმე ჩვენთან ერთად“ და ებრძოლე კორუფციას“ ელ-პორტალების შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან გამართული შეხვედრები/სემინარები;
5. განვითარებული პარლამენტისა და მოქალაქეთა ჩართულობის ვებპლატფორმა
6. მინიმუმ 2 გამართული შეხვედრა მოქალაქეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აკადემიური სფეროსა და მედიის წარმომადგენლებთან;
7. განხორციელებული პროექტი - „მოქალაქეთა ჩართულობა აუდიტის პროცესში“:

მინიმუმ 5 შეხვედრის ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პროგრესი: 1. 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის მიერ, მოეწყო შემდეგი აუდიტის ანგარიშების განხილვა:

- „სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი“ ;
- სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“;

- „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტი“;
- „სახელმწიფო ვალის მართვის 2014 წლის ეფექტიანობის აუდიტი“;
- „სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების 2014 წლის ეფექტიანობის აუდიტი“;
- „საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის 2016 წლის ეფექტიანობის აუდიტი“;
- „სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების 2015 წლის ეფექტიანობის აუდიტი“;
- „ხე-ტყის კომერციული რესურსების მართვის 2016 წლის ეფექტიანობის აუდიტი“;
- ფოთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი;
- ოზურგეთისა მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი;
- წალკის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

2016 წელს მოეწყო საკომიტეტო და პლენარული განხილვები შემდეგ ანგარიშებზე:

- სას-ის მოხსენება „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე;
- სას-ის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე;
- მოხსენება „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე.

2. „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის“ პროექტის ფარგლებში

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად გაიმართა:

- მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრა პარლამენტის, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
- ორი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო-სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- ორდღიანი შეხვედრა/სემინარი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან კახეთში;
- 9 საჯარო განხილვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან (თელავის, გორის, ქუთაისის, რუსთავის, ოზურგეთის, ამბროლაურის, ზუგდიდის

ბათუმისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში).

- ერთდღიანი მედია სემინარი მედიის წარმომადგენლებთან
- კომუნიკაციის 2-დღიანი სემინარი USAID-ის მხარდაჭერით, შიდა შესაძლებლობების განვითარება გარე კომუნიკაციის დასახვეწად;

3. მომზადდა პარლამენტისა და მოქალაქეთა ჩართულობის ვებპლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი.

4. განახლდა კომუნიკაციის სტრატეგია; დამტკიცდა და წარმატებით განხორციელდა კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა 2016 წლისათვის. მომზადდა კომუნიკაციის შედეგების შეფასების ანგარიში.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

8. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა და ანგარიშების საზოგადოებისათვის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:

- საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ყველანაირი ინფორმაციის გამოქვეყნება დამუშავებად რეჟიმში;

2. მონიტორინგის სამსახურის გაძლიერება და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის ფუნქციის გაფართოება:

- საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება;
- რეგიონალური კონფერენციის ორგანიზება;
- საქმიანობის პროცედურების, ინსტრუქციებისა და ხარისხის კონტროლის დოკუმენტაციის მომზადება;
- საარჩევნოდ დროებითი თანამშრომლების დამატება;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

3. ყველა სახის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება:

- საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება;
- დოკუმენტის პროექტის მომზადება;
- დოკუმენტის შეთანხმება ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ხელმოწერა.

პროგრესი: 1. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდისა და ანგარიშების საზოგადოებისათვის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით:

- 2016 წლის 18-19 თებერვალს გაიმართა რეგიონალური კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“, სადაც მოწვეული იყო 18 ქვეყნის პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი, ასევე ექსპერტები და პოლიტიკოსები სხვადასხვა ქვეყნებიდან. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 120-ზე მეტმა მონაწილემ, საიდანაც 70-მდე პირი იყო სპეციალურად კონფერენციისთვის საქართველოში ჩამოსული სტუმარი. კონფერენციაზე განხილულ იქნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და პროგნოზები პოლიტიკური პარტიების მონიტორინგის კუთხით და მათი გადაჭრის საშუალებები. კონფერენციაზე გადაწყდა შემდგომი თანამშრომლობის რამოდენიმე ფორმატის შესახებ, რომელიც ასევე რამოდენიმე მცირე ფორმის კონფერენციისა თუ სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას გულისმობს.

- მომზადდა საქმიანობის პროცედურებისა და ხარისხის კონტროლის დოკუმენტაციები, რომლებიც განხორციელდა IFES-ის ექსპერტის კონსულტაციებითა და მხარდაჭერით.

- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სამსახურმა არაერთი საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრა გამართა დაინტერესებულ მხარეებთან. შეხვედრების მიზანი იყო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესება, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარმოდგენა და სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა.

2. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით ელექტრონული დეკლარირების პროგრამის შემუშავებასა და საძიებო სისტემის დანერგვაზე დაწყებული ძირითადი სამუშაოები დასრულდა.

- ახალი ვებგვერდი და შემოწირულებების დეკლარირების პროგრამა შესულია ექსპლუატაციაში.

- გარდა შემოწირულებების პროგრამისა, სექტემბრის ბოლოს შედგა კონსულტაცია სრული დეკლარაციების პროგრამასთან დაკავშირებით პარტიების წარმომადგენლებთან, რის შემდგომაც მათ დაიწყეს პროგრამის გამოყენების ტესტირება, რომელიც დეკემბრის თვეში დასრულდა და პოლიტიკური პარტიები წლიურ დეკლარაციებს წარმოადგენენ ელექტრონულ ფორმატში.

- ასევე, სექტემბრის ბოლოს ელექტრონული დეკლარირების პროგრამის მზადების პროცესში საექსპერტო დახმარების გაწევის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA-ს მხარდაჭერით განხორციელდა ბრიტანელი და ჰოლანდიელი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში. სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები გაიმართა 2 დღის განმავლობაში ელექტრონული პროგრამების დანერგვისა და მართვისთვის საჭირო ინსტრუქციების მზადების ფორმატში, რა

დროსაც განხილულ იქნა საერთაშორისო გამოცდილების მაგალითები და დაიწყო საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით ინსტრუქციის დოკუმენტის მომზადება.

- საერთაშორისო ორგანიზაცია International IDEA-ს დახმარებით განხორციელდა ფინანსური მიმართულების თანამშრომლების ვიზიტი ესტონეთში, სადაც განხორციელდა ელექტრონული პროგრამების გამოყენებისა და მონიტორინგის სამსახურის პრაქტიკული საქმიანობის გაცნობა, გარდა ამისა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა ტრენინგი მონიტორინგის სისტემის დახვეწის თემატიკაზე.

3. საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით სამსახურის მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა და კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები აისახა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის საქმიანობის ანგარიშში და 2016 წლის მაისში რეკომენდაციების სახით გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

9. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. მომზადებული ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსია;
2. მინიმუმ 15 ახალი გადამზადებული თანამშრომელი ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით;
3. შემუშავებული თანამშრომელთა შეფასების სისტემის საბოლოო ვერსია;
4. წლის ბოლოს ჩატარებული თანამშრომელთა გამოკითხვა.

პროგრესი: 1. მომზადდა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების გეგმა 2. ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით გადამზადდა 41 თანამშრომელი. 3. TWINNING-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა თანამშრომელთა შეფასების სისტემის საბოლოო ვერსია. დასრულებულია თანამშრომელთა საპილოტე შეფასება აღნიშნული სისტემის მეშვეობით. 4. ჩატარდა თანამშრომელთა გამოკითხვა.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

10. მართვის სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. გაუმჯობესებული აუდიტის სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემა:

- სისტემაში ასახული მინიმუმ ორი წლის აუდიტორული საქმიანობის მონაცემები;

2. განხორციელებული აუდიტის მართვის სისტემის (Audit Management System – AMS) დანერგვის რეფორმა:

- პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის და ქსელის შესყიდვა და კონფიგურირება;

3. სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების პროცესის დახვეწა:

- შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების პოლიტიკის საბოლოო ვერსია.

პროგრესი: 1. აუდიტის სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების ელექტრონულ სისტემაში აისახა ბოლო 3 წლის აუდიტები და შესაბამისი ინფორმაცია.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მომწოდებელთან გააფორმა კონტრაქტი აუდიტის მართვის სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებით. დეკემბრის მდგომარეობით:

- **გადამზადდა სისტემის 12 ტრენერი და სისტემის ადმინისტრატორი; შეიქმნა საპილოტე ჯგუფები და გადამზადდა:**

- *სისტემის 120 მომხმარებელი ფინანსური აუდიტის მიმართულებით;*

- *სისტემის 15 მომხმარებელი ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით;*

- *სისტემის 20 ტრენერი ფინანსური აუდიტის მიმართულებით.*

3. მომზადდა სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანობის შეფასების გზამკვლევის საბოლოო ვერსია.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.

11. აუდიტის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, სანიმუშო პრაქტიკის გაზიარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO)

შესრულების მაჩვენებელი:

1. სტრატეგიულ პარტნიორებთან - შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

2. საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის (TWINNING) ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

3. მინიმუმ 5 საერთაშორისო ღონისძიებაში (კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის მიღება.

პროგრესი: 1. მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდა დამმობილების პროექტი გერმანულ და პოლონელ კოლეგებთან. პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელთაგან აღსანიშნავია:

1.1. სას-ის ორგანიზაციული და რესურსების მართვა

- სას-ის სამართლებრივი ჩარჩოსა და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზური ანგარიშის მომზადება და განხილვა;

- სათანადო და გამჭვირვალე ორგანიზაციული სტრუქტურის განხორციელება;

- დაგეგმვის პროცედურების ეფექტიანობის გაზრდა და სტრატეგიული დაგეგმვის გზამკვლევის შემუშავება;

- აუდიტის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურაცია და პილოტირება.

1.2. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარება და ანგარიშგება

- წლიური აუდიტორული დაგეგმვის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება;

- ექსპერტთა მხარდაჭერით ფინანსური და შესაბამისობის აუდიტების ჩატარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- აუდიტის ანგარიშის სტრუქტურის/ფორმის გაუმჯობესება;

- IT აუდიტის მიმართულებით შესაძლებლობების განვითარება;

- აუდიტის მართვის პროგრამისა და მონაცემთა ანალიზის პროგრამის ტრენინგების ჩატარება;

1.3. აუდიტორების პროფესიული განვითარება და საქმიანობის შეფასება

- პროფესიული განვითარების სტრატეგიის გადახედვა;

- კონკრეტული სამუშაო აღწერილობების შემუშავება;

- ტრენინგების საჭიროებების იდენტიფიცირება ჩატარებული ორ კვლევით;

- ელექტრონული სწავლების უზრუნველყოფა ონლაინ რეჟიმში;

- შეფასების სისტემის შემუშავება და განხორციელება.

2. კორეის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. თანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრულია მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის და IT აუდიტის სფეროში გამოცდილების გაზიარება.

3. შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან 2018 წლამდე გაგრძელდა თანამშრომლობის მემორანდუმი. თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილია ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფა, ასევე სას-ის თანამშრომლების უნარების გაძლიერება ლიდერობისა და მართვის მიმართულებით.

4. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) 2018 წლამდე გაგრძელდა თანამშრომლობის მემორანდუმი.

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა (სას) და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის (US Government Accountability Office) აუდიტის სასწავლო ცენტრს (Center For Audit Excellence) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში დაგეგმილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT აუდიტორების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. აღნიშნული პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ.

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმასპინძლა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების დასკვნით შეხვედრას სახელმწიფო ვალის მართვის აუდიტთან დაკავშირებით. ღონისძიებაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გარდა, მონაწილეობა მიიღო 10-მა სხვადასხვა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის წარმომადგენელმა და საერთაშორისო ექსპერტმა სახელმწიფო ვალის მართვის მიმართულებით.

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) XXII კონგრესში;

8. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო შვედეთში, მრავალმხრივი ცოდნის გაზიარების მესამე სამუშაო შეხვედრაში.

პერიოდი: იანვარი, 2016 წ. - დეკემბერი 2016 წ.